„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэва“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპიკი.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ოთხშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. [illegible] ნებისა ითვლება მათგან დაჭერილის [illegible] ლობაზედ.

თუ ხელმოწერა მოითხოვს, რედაქცია გაახწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილებს რედაქცია კერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

დროების რედაქცია საყოველთაოდ აცხადებს, რომ **შავერდოვის საადგენტოში** **აღარ მიიღება** ხელის-მოწერა ამ გაზეთზედ და არც განცხადებები მასში დასაბეჭდად. ხელის-მომწერთ, ან განცხადების მოცემის მსურველთ რედაქცია სთხოვს პირდაპირ რედაქციის კანტორას მომართონ, (სასახლის ქუჩა, დ. სარაჯოვის სახლში).

კარგი ნიშნები სალისბიურის კაბინეთისათვის

თბილისი, ივლისის 19-ს.

ბაჭირებით დაბადებულს სალისბიურის კაბინეთს, რომელსაც ეხლა ხელთ-უპყრია ინგლისის გამგებლობა, ბედის ჩარხი წალმა დაუტრიალდა; წალმა დაუტრიალდა შინაც და გარეთაც. პირველში ამის ნიშნები არა სჩანდა. ქონსერვატორების დასმა თუმცა აჯობა ლიბერალების დასს და სხვა წვრილი პარტიების შემწეობით ძირს დასცა ბლადსტონის სამინისტრო, მაგრამ ამ გამარჯვებას არავინ გამარჯვებად არ უთვლიდა და მრავალნი სალისბიურის სამინისტროს მალე დაცემას უწინასწარმეტყველებდენ. საზოგადოების ესეთმა ხმამ ისე შეაძრწუნა სალისბიურის მომხრენი, რომ მათ პარლამენტარულს წესს გადაუბიჯეს და მოითხოვეს შემწეობა იმათთაგანაც კი, რომელნიც ყოველთვის მათნი მოპირდაპირენი არიან და რომელთ დამარცხების მიზეზად თვითონვე იყვნენ, ე. ი. ბლადსტონის მომხრეთ.

გაიარა დრომ და ქამმა და საქმეც სრულიად სხვაფრივ მოეწყო. აღმოჩნდა რომ თუმცა სალისბიურის კაბინეთს დღე-ნაკლებს უძახდენ, მაგრამ მას ისეთი ნათლია ჰყოლია, რომელსაც შეუძლიან ამ დღე-ნაკლებობას წამალი ადვილად დასდოს და თავის ნათლულს სიცოცხლე საკმაოდ გაუგრძელოს. აღმოჩნდა, რომ თავადი ბისმარკი ძალიან მონდომებული იყო, კონსერვატორებს გაემარჯვათ და მუდამ ზოზინითა და სიწყნარით-მომქმედი ლიბერალები დამარცხებულიყვნენ. ბისმარკი ისეთი კაცია, რომ მონდომა და გაკეთება მისთვის ერთი-და-იგივეა და ამით ადვილად აიხსნება სალისბიურის კაბინეთის წელში გამართვა და საქმის რიგიანად წაყვანა. ბაზეთების ხმებმა ბერმანიასთან კავშირის შეკვრაზედ დიდად ხელი შეუწყეს ინგლისს, ასე რომ თუ სალისბიური შემდეგში უფრო ენერგიულს პოლიტიკას დაადგება, შეიძლება შინაური მტრები თავისითვე მოკეთედ გაუხდენ და აღარც თვით ცხარე ლიბერალები გაუჭირვეულდენ. ამის ნიშნები თითქო სჩანს კიდეც: უწინდელ სამინისტროს წევრნი დაჰპირებიან დახმარებას გარეშე პოლიტიკაში.

ბისმარკისავე მეოხებასვე უნდა დაბრალდეს ეგვიპტის საქმის გათავებაც. ეს საქმე სწორედ დაუსრულებელი იყო ინგლისისათვის, მაგრამ სალისბიურის კაბინეთისაგან უფლების ხელში ჩაგდების უმალვე, ყველა სახელმწიფონი თანხმდებიან, რომ ეგვიპტის სესხი გამოიცეს და ამ სესხის შემწეობით რიგიანად მოგვარდეს მისი საქმეები.

ეს კიდევ არაფერი; თვითონ განგება თითქო ეწევა ინგლისს და სიკვდილს უვლინებს მისს დაუძინებელ მტერს, რომელიც იყო მიზეზი მთელის სუდანის არეულობისა. ყბადაღებული აბდურახმანი ცოცხალი გამოდგა და დიდის ამბით დღესასწაულობს ინგლისისაგან ორდენის ბოძებას ძაბულში და უეცრად მოსული ხმა მაჰდის სიკვდილზედ კი მართალი დგება, ისე მართალი, რომ არაბებს მისთვის ვილაც აბდულა მემკვიდრედ გამოუნახავთ, და მაჰდის ალაგას დაუსვავთ.

თუმცა ერთ კაცს დიდი მნიშვნელობა არა აქვს-რა ისტორიაში, მაგრამ მაჰდის სიკვდილი დროებით მაინც აურ-დაურევს არაბების ერს და ინგლისელებისათვის ცოტა დროს მოგებაც კარგია ეგვიპტის შინაური და გარეული საქმეების მოსათავებლად, მეტადრე ეხლა, როდესაც სესხი ამის ნებას მისცემს და დაუძინებელი მტერი-კი, რომელსაც შეეძლო მათი დაშლა, საფლავში ძევს.

ერთის სიტყვით, საითაც არ მიიხედავთ, ყველაფერი გარწმუნებთ, რომ გაჭირვებით დაწყებულ საქმეს კონსერვატორებისას გზა ეხსნება და საკმაოდ ფართო გზაც.

შინაური ქრონიკა

ს ველის-ციხიდგანა გვწერენ: «ჩვენი სოფელი დღეს სწორედ რომ პირველ სავაჭრო სოფელს წარმოადგენს მთელს აღმოსავლეთ კახეთში; რას იტყვით, რომ გარშემო სოფლებიდგან აქ არ მოჰქონდეთ გასასყიდად: ფქვილი, ერბო, ყველი და სხვ. მაგრამ არ შეგვიძლიან ხმა არ ამოვიღოთ ერთს იმ მოვლენაზედ, რომელსაც სხვა მოვაჭრე ქალაქებშიაც ხშირად შეხვდებით ხოლმე; ეს ის არის, რომ გასაყიდად მოტანილ საავაჭროს ერთი ორი კაკი ჰკიდებს ხელს და დანარჩენი მყიდველები ხელ-ცარიელნი რჩებიან.

«ასე იქცევა დღესაც ჩვენში ერთი მოვაჭრე, კ. შ. მას საკუთარ დუქანში გამართული აქვს დიდი სასწორი

საზარელი მკვლელი

ფრანცუზულიდამ

ვექილი ამტკიცებდა ჟიურიზედ შეშლილიაო. და ან კი როგორ აეხსნა სხვაფრივ ეს საკვირველი დანაშაულობა?

ერთს დილას, შატუს ახლოს, ლერწმებში, გამოჩენილი მდიდრების—ქალისა და კაცის გვამი ერთად შეკრული იპოვეს. იგინი ძალიან ახალგაზდები არ იყვნენ, სულ ერთი წელიწადი იყო რაც ჯვარი დაეწერათ; ცოლი ნაქერიანალი იყო და სამი წლის სიქერიანის შემდეგ გათხოვილიყო.

არავის არ ეგონა თუ მათ მტერი ეყოლებოდა. ცხადი იყო, რომ იგინი განგებ იყვნენ წყალში გადაყრილნი და გრძელი რკინის ურდულით მოკლულნი.

ბამოძიებამ ვერაფერი ვერ აღმოაჩინა. ვისაც კი ჰკითხეს, არავინ არაფერი იცოდა; ღვთის ანაბრობაზედ უნდა გაეშვათ საქმე, როდესაც გამოჩნდა დამნაშავედ ერთი სოფლელი ახალგაზდა დურგალი ქორ-ლუი, მეტ სახელს მას ლე-ბურჟუას ეძახოდენ. ყველა კითხვებზედ იგი მიუგებდა ხოლმე: «მე კაცს ორი წელიწადი ვიცნობდი და დედა-კაცს კი ექვსი თვე. იგინი ხშირად მოდიოდენ ჩემთან და შემომიკვეთავდენ ხოლმე საქმეს, რადგანაც კარგად ვიცოდი ჩემი ხელობა».

როდესაც ჰკითხეს მიზეზი მოკვლისა, მან მხოლოდ ეს მიუგო:

«მოვკალი იმისთვის, რომ მინდოდა მათი მოკვლა».

ამის მეტს არაფერს ამბობდა.

ახალგაზდა კაცის ვინაობა არავინ არ იცოდა, თუ ვის მიეცა იგი სოფელში გასაზდელად და ვის მიეტოვებინა უპატრონოდ. როდესაც იგი გაიზარდა, მისი მიხვრა-მოხვრა სოფლელი კაცის მიხვრა-მოხვრას არა ჰგავდა. მას დაარქვეს «ლე-ბურჟუა»—და ამ მეტს სახელს ეძახოდენ ყველანი. იგი გათქმული ხელოსანი იყო თავის ამქარში; მოქანდაკის ხელობაც ცოტათი იცოდა. ამბობდენ რომ ძალიან უყვარდა კომუნალური და ნიგილისტური აზრები, გასატაცებელი რომანები და კარგი ორატორიც იყო თავის ამქარში და გლეხებში.

II

ვექილი მაინც ამტკიცებდა ჟიურიზედ შეშლილიაო.

მართლა და რა მოსაფიქრებელი იყო, რომ თავისი მუშტარი მოეკლა და ამასთან მდიდარი და კეთილი გულის მუშტარი (თვით იგი გამოტყდა ამაში), რომელმაც ორ წელიწადში სამი ათასი ფრანკის საქმე გააკეთებინა... (ეს ანგარიშის დავთრებიდამა სჩანდა); მხოლოდ ამითილა ხსნიდენ ამ საქციელს, რომ ვითომ ორი ბურჟუას მოკვლით მთლად ბურჟუაზიის ჯავრს ჰყრილობდა. ვექილმა ხმა აუმაღლა სახელ «ლე-ბურჟუაზედ», რომელსაც სოფელში ამ ნაბიჭვარს ეძახდენ და წარმოსთქვა: «დაცინვა ხომ არ არის,—დაცინვა, რომელიც უფრო ძრიელ გააბრაზებს ამ საცოდავს უდედმამოს. აი თქვენს წინაშე დგას თავდანებებული რესპუბლიკელი მე კიდევაც ცოტა ესთქვი! იგი ეკუთვნის იმ პოლიტიკურ დასს, რომელიც რესპუბლიკამ უარჰყო და ბევრი მათგანი დაახვრეტინა; იგი ეკუთვნის იმ დასს, რომელსაც ცეცხლის წაკიდება და მოკვლა ჩვეულებრივს ხელობად მიაჩნია.

და აი, ამ სამწუხარო აზრებმა, რომელთაც საზოგადოება ტაშს უკრავს, დალუპეს ეს კაცი. რესპუბლიკელებისაგან, დედაკაცებისაგან,—დიაღ, დედაკაცებისაგანაც კი,—მხოლოდ ერთი და იგივე ესმოდა: «სისხლი ბამბეტასი, სისხლი ბრევისა!» ბონება დაუბნელდა; ბატონებო, ეგ კი არა, კომუნაა გასამტყუნარი.»

ვექილის აზრი ყველას მოეწონა. ვექილი მოიგებდა საქმეს, ამას ყველა გრძნობდა. პროკურორი არ ეწინააღმდეგებოდა. მაშინ თავმჯდომარემ ჰკითხა დამნაშავეს.

— დამნაშავე, არაფერი სათქმელი არა გაქვს-რა შენის თავის დასაცველად?

სკამიდამ წამოდგა შუატანის კაცი, ქერა-თმიანი, მეტყველი, ლურჯ-თვალება და რიხიან-ხმიანი. იგი ისე მშვენივრად და გარკვევით ლაპარაკობდა, რომ ყოველივე მისი სიტყვა თვით შუა დარბაზშიაც ისმოდა.

— ბატონო თავმჯდომარეო,—უთხრა მან,—რადგანაც მე არ მინდა საგიქეში ჩაჯდომა და გილიოტინასა ვრჩეობ, ამისათვის ყოველისფერს გიამბობთ.

«მე ის კაცი და დედა-კაცი იმის-

და შემოვა თუ არა რამ სოფელში გასასყიდი, მაშინათვე თავის დუქანში მოუყრის თავს და ვიდრე თითონ არ აივსებს ყიდვით გულსა, სხვას არაფერს ანებებს. .

«Ურიგო არ იქნება, რომ ზემოხსენებული სასწორი სოფლის მოედანზედ გამართულიყო, სადაც საკმაო ცარიელი ადგილი მოიპოვებოდა და სადაც ყოველ სულს თავისუფლად შეუძლიან ყველაფრის ვაჭრობა; თორემ ხსენებული ვაჟბატონის წყალობით დღეს ჩვენში ფუთი ფქვილი 1 მან. 10 კაპ. და 1 მან. 20 კაპ. ფასობს, იმიტომ რომ მომტანისაგან სრულებით თითონა ყიდულობს და შემდეგ როგორცა ჰსურს ისე ჰყიდოს.

ᲔᲔᲔ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ (14) Ე «მწყემსისა» მიაქცევს ყურადღებას სოფლის ეკლესიების უკიდურესს სიღარიბეს და ბოლოს ამბობს:

«რამ უნდა მიიზიდოს ამისთანა ეკლესიებში ხალხი? რამ უნდა ჩაუნერგოს მლოცველ ხალხს კრძალულება? რამ უნდა მოიყვანოს იგი ლოცვის დროს გრძნობაში? ჭეშმარიტად გასაკვირველი არის, რომ ჩვენი ხალხი კიდევ დადის ამისთანა სოფლის ეკლესიებში.»

მასუკან განაგრძობს ავტორი: «ამ რამდენიმე წლის წინად მე შემხვდა შესვლა ერთ სოფლის ღარიბ ეკლესიაში. ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა სურათმა, რომელიც იყო მიკრული კანკელზე, ღვთის-მშობლის ხატის გვერდით. ვკითხე მღვდელს და სტაროსტას, თუ რა დროიდგან არის ეს სურათი ეკლესიაში, ან ვინ მოიტანა ის იქ? მღვდელმა განაცხადა, რომ ეს სურათი შემოსწირა ერთმა ჩემმა მრევლთაგანმა, რომელიც Oბილისში სცხოვრებდაო. სურათი, მღვდლის აზრით, წარმოადგენდა ანგელოზების სურათს და რადგან სხვა ხატები არ არის ეკლესიაში, ამ ქაღალდზედ დახატული, ვითომ ანგელოზების სურათი მიეკრათ ფიცარზე და ყოფილა ეკლესიაში დიდი ხნიდამ. ახლა არ იკითხავთ, მკითხველო, თუ რა არის ეს სურათი? ამ სურათს ძირს აწერია რუსულად შემდეგი: „Съ дозволенія начальства извѣстная труппа акробатовъ будетъ честь дать сего мѣсяца 29 числа, т. е въ воскресеніе представленіе въ слѣдующихъ трехъ отдѣленіяхъ: 1-ое отд.: разные новые и трудные танцы на тугомъ канатѣ; 2-ое Г. Жанъ Паулъ и дѣвица Жозефина Ламбергеръ будутъ въ первый разъ на двухъ паралельно натянутыхъ канатахъ танцовать па-де де; 3-ое: молодой Ламбергеръ будетъ танцовать Экосесъ и пр“... შემდეგ არის მოყვანილი ფასი ადგილებისა. ეს ბაწარზე მოთამაშენი (ჯამბაზები) არიან დახატულნი ქაღალდზე და ამათ მლოცველები რაცხდენ, თურმე, ანგელოზებად.

«აი სადამდის მიაღწევს სოფლების ზოგიერთი ეკლესიების სიღარიბე. ზემოხსენებული სურათი მაშინვე იყო ჩამოხსნილი და მღვდელსაც შესაფერი დარიგება მიეცა.»

ᲔᲔᲔ «მწყემსიე» გვაცნობებს, რომ სასულიერო კონსისტორიათა ახალი წესდებულება, რომლის ქართულად თარგმანზედ იყო ნათქვამი ჩვენს გაზეთში, მალე დაიბეჭდებაო. იგი უნდა დარიგდეს ყველა ეკლესიებში 1300 ეგზემპლიარი და 300 კიდევ კერძო პირთათვის იბეჭდება. ფასი თითო ეგზემპლიარისა იქნება 40 კაპ.

ᲔᲔᲔ ᲑᲐᲖ. «ნოვოსტ»-ს გაუგონია, რომ Oთ. Oი. ჩერნიავსკის ორ სხვა პირთან ერთად პეტიგორსკის ახლო ჩაის დიდი პლანტაციის გამართვას აპირობსო. ჩაის ბუჩქი და მის მოსავლელად მუშები ჩინეთიდამ იქნებიან დაბარებულნიო.

ᲔᲔᲔ ᲑᲐᲖᲔᲗ «Новое Оаозрѣніе»-ს ᲣᲐᲖᲐᲮᲘᲓᲐᲛ ᲡᲬᲠᲔᲤᲔᲜ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐᲡ, რომელშიაც დაწვრილებით არის აღწერილი, თუ როგორ შესდგა ჟიარიმას გუნდი. ეს გამოჩენილი ყაჩაღი ᲣᲐᲖᲐᲮᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲡᲝᲤ. ᲣᲠᲐᲰᲣᲣᲡᲐᲛᲐᲠᲘᲓᲐᲛ, ᲘᲒᲘ ᲯᲔᲠ ᲘᲡᲔᲔ ᲣᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘ ᲙᲐᲪᲘᲐ, ᲐᲡᲔ 22—23 ᲬᲚᲘᲡᲐ, ძალიან წარმოსადეგი და ლამაზი, მეტის-მეტად მამაცი, ამპარტავანი, თავის-მოყვარე და შურის მძიებელი; თოფის სროლაში და ქევში გათქმულია. წარსული წლის აგვისტომდის ჟიარიმას არც ერთი ავაზაკობა არ ჩაუდენია, იგი მხოლოდ მომხრე იყო თავის მამის ᲘᲡᲙᲐᲜᲓᲔᲠ-ᲛᲝᲚᲐ-ᲖᲐᲐᲚ-ᲝᲚᲚᲘᲡᲐ, რომელიც ერთ დროს ადმინისტრაციულის წესით იყო გაგზავნილი რუსეთში და იქიდამ 1881 წელს უკანვე გამოიქცა. როგორც გამოქცეული, ᲘᲡᲙᲐᲜᲓᲔᲠ-ᲛᲝᲚᲐ-ᲖᲐᲐᲚ ᲝᲚᲚᲘ თუმცა თავის სოფელში მოვიდა, მაგრამ პირველ ხანებში იმალებოდა; მის საბედნიეროდ ამ დროს ᲣᲐᲖᲐᲮᲨᲘ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲐᲓ ᲓᲐᲘᲜᲘᲨᲜᲐ ᲰᲣᲡᲔᲘᲜ ᲑᲔᲒ ᲘᲡᲠᲐᲤᲘᲚ-ᲑᲔᲒᲘ, რომელიც შემდეგ ნუხის მომრიგებელ შუამავლად დაინიშნა, ეხლა-კი მთავარმმართებლის განკარგულებისა-მებრ, გადაყენებულ იქმნა თანამდებობიდამ და სამართალში მისცეს სამსახურში ბოროტ-მოქმედებისათვის; ეს ისრაფილ-ბეგი კარგად იცნობდა ᲘᲡᲙᲐᲜᲓᲔᲠ-ᲛᲝᲚᲐ-ᲖᲐᲐᲚ-ᲝᲚᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ არა ცდილობდა მის დაჭერას, პირიქით იგი მას უფალებდა და დახმარებოდა კიდეც, იქნება ამისთვის, რომ ეგება ბოროტება აღარა ჩაედინა-რა. მართლა ასეც მოხდა. ᲘᲡᲙᲐᲜᲓᲔᲠ-ᲛᲝᲚᲐ-ᲖᲐᲐᲚ-ᲝᲚᲚᲘ არამც თუ მავნებელი, სასარგებლო კაციც გახდა ᲘᲡᲠᲐᲤᲘᲚ-ᲑᲔᲒᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ: იგი მალე პოულობდა მოპარულს საქონელს და პატრონებს უბრუნებდა. Oუმცა მას მთავრობისაგან აღარ უნდა ჰმინებოდა, მაგრამ, როგორც ფრთხილი კაცი, იგი თავის შვილით ჟიარიმათი პიბოდის თოფს ხელიდამ არ აგდებდა. ასე იყო 1883 წლამდე, როდესაც ᲘᲡᲠᲐᲤᲘᲚ-ᲑᲔᲒᲘ გამოსცვალეს და მის ადგილას ᲔᲚᲘᲡᲐᲕᲔᲢᲝᲞᲝᲚᲘᲡ მომრიგებელი შუამავალი ᲐᲡᲠᲘᲑᲔᲒᲝᲕᲘ დანიშნეს ᲣᲐᲖᲐᲮᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲐᲓ. ამ უკანასკნელმა კარგის თვალით არ შეხედა ᲘᲡᲙᲐᲜᲓᲔᲠ-ᲛᲝᲚᲐ-ᲖᲐᲐᲚ-ᲝᲚᲚᲘᲡ განსაკუთრებით უფრო იმისთვის, რომ მანვარი განაცხადა ᲣᲐᲖᲐᲮᲨᲘ გავარდნილის ᲢᲐᲜᲒᲠᲘᲕᲔᲠᲓᲘᲡ მოკვლისა, რისათვისაც ᲐᲡᲠᲘᲑᲔᲒᲝᲕᲛᲐ გამოუცხადა მას სხვის პირით, რომ თვალით აღარ დაჰნახვებოდა და დაუწყო დევნა. მისმა მტრებმაც ისარგებლეს ამით და ᲘᲡᲙᲐᲜᲓᲔᲠᲘᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲗᲕᲘᲡ ᲐᲑᲔᲖᲦᲔᲑᲓᲔᲜ ᲛᲐᲖᲠᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲗᲐᲜ და აგვისტოს თვეში საქმე იქამდის მივიდა, რომ მტრებმა საბრძოლველად გამოიწვიეს ᲘᲡᲙᲐᲜᲓᲔᲠᲘ. ᲫᲝᲮᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲡᲠᲝᲚᲐ, რომელიც სამს საათს გაგრძელდა და ამ ბრძოლაში ᲫᲘᲐᲠᲘᲛᲘᲡ თვალ-წინ მისი მამა ᲘᲡᲙᲐᲜᲓᲔᲠ-ᲛᲝᲚᲐ-ᲖᲐᲐᲚ-ᲝᲚᲚᲘᲪ მოკლეს. ᲔᲡ ამბავი შეატყობინეს მაზრის უფროსს, რომელიც მაშინვე მოვიდა ადგილობრივ გამომძიებელის ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲪᲘᲗ, განკარგულება მოახდინა,—ᲘᲡᲙᲐᲜᲓᲔᲠᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲠᲔᲜᲘ და ახლო ნათესავნი დაეტუსაღებინათ,

---

თვის მოეკალი, რომ იგინი ჩემი მშობლები იყვნენ. ᲔᲮᲚᲐ ᲧᲣᲠᲘ ᲓᲐᲛᲘᲒᲓᲔᲗ და შემდეგ საქმე გაარჩიეთ. Oმ დედაკაცმა შობა ვაჟიშვილი და სადღაც გაგზავნა გასაზდელად. Oითქმის არაკი იცოდა თუ სად წაიყვანეს ის უზაველი პატარა ქმნილება, რომელსაც თავისმა ბედმა სიღარიბე, შერცხვენა, ნაბიჭვრობის სახელი და ამაზედ უარესი სხვა რამეები დაუნიშნა. ᲔᲢᲧᲝᲑᲐᲗ, მათ უნდოდათ ის ბავშვი მომკვდარიყო, ამიტომ რომ იგი გადაგდეს უყურადღებოდ და ძიძას, რომელსაც თვე და თვე არ აძლევდენ საძიძაო ფულს, შეეძლო,—როგორც ხშირად მოხდება ხოლმე,—დაეტოვებინა ბავშვი მშიერი, მწყურვილი და ყოველისფერს მოკლებული.

«მაგრამ ჩემი გამზდელი პატიოსანი დედა-კაცი იყო,—პატიოსანი, ნამდვილი გულ-შემატკივარი დედა-კაცი, ყოველისფრით სრული, მოყვარული და ბევრით უკეთესი თვით ნამდვილ დედა-ჩემზედაც. მან გამზარდა, მაგრამ საუბედუროდ ᲣᲤᲠᲝ ᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲘ იქნებოდა ამისთანა უბედური ბავშვები დალუპონ, გადაგდონ ისე, როგორც ნაგავსა ჰყრიან. რაღაცა უპატიოსნობასა ვგრძნობდი. ბავშვებმა ბუში დამარქვეს. მათ არ ესმოდათ ამ სიტყვის მნიშვნელობა; მეც თუმცა არ ვიცოდი, მაგრამ ვგრძნობდი კი რომ ცუდი სიტყვა იყო.

«ᲫᲕᲔᲚᲜᲘᲗ არ ვიტყვი და სკოლაში ყველაზედ გონება-გახსნილი ბავშვი მე ვიყავი; იქნება პატიოსანი კაციც ვყოფილიყავ და ქვეყნისათვისაც სასარგებლო, ჩემს მშობლებს რომ შეუბრალებლად არ გადავეგდეთ.

«მე ვიყავ მსხვერპლი, იგინი კი—დამნაშავენი; მე მფარველი არავინა მყავდა, იგინი კი,—არ მიბრალებდენ; მათ მე უნდა ვყვარებოდი, მაგრამ სიყვარულის მაგივრად სხვაგან გადამაგდეს.

«მე იმათ მაჩუქეს სიცოცხლე, მაგრამ სიცოცხლე—საჩუქარია? ჩემი სიცოცხლე მაინც მხოლოდ უბედურებაა.

«ᲘᲡ საძაგელი საქციელი უნდა გადამეხადა რითიმე მათთვის; მათ მოახდინეს უღმერთო და მხეცური საქმე.

«შეურაცხყოფილი კაცი სცემს; გაცარცული—ძალით ართმევს თავის სარჩოს: მოტყუებული, დაჩაგრული კაცი—ჰკლავს; მე უფრო გაცარცული ვიყავ, მოტყუებული და ზნეობით გაფუჭებული, და არა იმისთანა, რომელთაც თქვენ აპატიებთ ხოლმე თავიანთ დანაშაულს.

«მე ჩემს ჯავრს ვყრილობდი, მე მოვკალ იგინი. ᲔᲡ იყო ჩემი კანონიერი უფლება. მათ წაართვი ბედნიერი სიცოცხლე ჩემი უბედური სიცოცხლის მაგივრად.

«Oქვენ იტყვით, რომ დედ-მამა მოჰკლაო ᲗᲐᲜᲐ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲛᲨᲝᲑᲚᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ, რომელთათვისაც მე საზარელი უპატიოსნობის ლაქა ვიყავ, რომელთათვისაც ჩემი დაბადება თავზარდაცემა იყო და ჩემი სიცოცხლე სირცხვილი! Oგინი ეძებდენ დაფარულ სიამოვნებას და მოულოდნელად კი გამოჩნდა ბავშვი. Oგი მოიშორეს. ᲔᲮᲚᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲠᲘᲒᲘᲐ ᲛᲝᲕᲔᲥᲪᲔ ᲛᲐᲗ ᲘᲡᲔ, ᲠᲝ�გᲝᲠᲪ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲔ ᲛᲝᲛᲔᲥᲪᲜᲔᲜ.

«მე Oქვენ გითხარით კიდეც, რომ ორი წელიწადია მეთქი, რაც მამაჩემი პირველად შემოვიდა ჩემთან. მე ეჭვს მაზედ როგორ შევიტანდი. მან შემომიკვეთა მებელი. როგორც შემდეგ გავიგე, იგი თურმე ცნობებსა ჰკრეფავდა ჩემს შესახებ.

«Oგი შემდეგაც მაძლევდა საქმეს და ფულსაც კარგად იძლეოდა. ხანდისხან დავსხდებოდით და ვლაპარაკობდით ხოლმე სხვა-და სხვა ამბებს. მე ძალიან მომწონდა იგი.

«ᲐᲛ ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘ ᲛᲐᲜ ᲛᲝᲘᲧᲕᲐᲜᲐ ᲩᲔᲛᲗᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲪᲝᲚᲘ, ᲓᲔᲓᲐ-ᲩᲔᲛᲘ. Oგი ისე ნაირად კანკალმა აიტანა ჩემთან შემოსვლის უმალვე, რომ ეიფიქრე ძარღვების ავადმყოფობა თუ აქვს მეთქი. მან მომთხოვა სკამი, ერთი სტაქანი წყალი და სხვა არაფერი მითხრა; გაშტერებული ათვარიელებდა იგი ჩემს მდგომარეობას და ქმარს რაღაც ნაირად გადარეულად ელაპარაკებოდა; მე იგი ჭკუაზედ შემცდარი მეგონა.

«Oეორე თვეს იგი კიდევ მოვიდა. მაშინ კი დამშვიდებული იყო. ᲔᲮᲚᲐ ᲣᲤᲠᲝ ᲓᲘᲓᲮᲐᲜᲡ ᲓᲐᲠᲩᲜᲔᲜ ᲩᲔᲛᲗᲐᲜ და ბევრი რამეებიც შემომიკვეთეს. მე იგი კიდევ სამჯერა ვნახე, მაგრამ ეჭვი მაინც არაფერში შემქონდა. ერთ ხელ, როდესაც მან დაიწყო ლაპარაკი ჩემს ცხოვრებაზედ, ჩემს სიყვარულზედ და Oშობლებზედ, მე მიეუგე მას,—«ქალბატონო, ჩემი Oშობლები უსინიდისო ადამიანები არიან, რომ მე დაბადების უმალვე გადამაგდეს?» მან ხელი გულზედ მიიდო და გონება-მიხდილი დაეცა. მე ეიფიქრე: «ეს დედა-ჩემია-მეთქი!» მაგრამ თავი ისე დაეჭირე ვითომც არაფერი არ ვიცოდი.

«მეც ჩემის მხრივ შევკრიფე ცნობები. ᲑᲐᲕᲘᲒᲔ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲗ ᲬᲐᲠᲡᲣᲚ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲡ ᲗᲘᲑᲐᲗᲕᲔᲨᲘ ᲓᲐᲔᲬᲔᲠᲐᲗ ᲯᲕᲐᲠᲘ

ქიარიმს გარდა, რომელიც მაშინვე ყაჩაღად გავარდა, რადგან იცოდა, რომ მაზრის უფროსი მას ცუდის თვალით უცქეროდა; ისკანდერის მკვლელთაგანი-კი არც ერთი არ დაიჭირეს, პირიქით დაასაჩუქრეს კიდეც, განსაკუთრებით ისკანდერის მკვლელი ისრაფილ აღა. ახალ-გაზდა ქიარიმმა დაიფიცა, რომ მამაჩემის მკვლელებს სამაგიეროს გადაუხდი და არც მოსამსახურე პირთ დავინდობ, რადგანაც უსამართლოდ მოიქცენო. ქიარიმამ ყაჩაღების გუნდი შეადგინა და აგერ თერთმეტი თვეა რაც ყაჩაღობს; ამბობენ რომ ქიარიმს განზრახვა აქვს ჯერ მაზრის უფროსი და გამომძიებელი დადიანცი მოკლას და მერე თავის მამის მკვლელი ისრაფილ-აღაო. მაზრის უფროსი ბევრსა ცდილობს დაიჭიროს ქიარიმი, მაგრამ ამაოდ: იგი ხალხის გმირად გადაიქცა და ყველა ალტაკებით ახსენებს მის სახელს. ამის გამო ყაზახის მცხოვრებნი არამც თუ ცდილობენ ქიარიმის დაჭერას, არამედ უმასპინძლდებიან იდეც ჯერ იმისთვის, რომ მოსვლისა ეშინიათ და მერე იმისთვის, რომ უყვართ. ეხლა ქიარიმას ახლო ნათესავები აგყრ ერთი წელიწადია ციხეში არიან დატუსაღებულნი მაზრის უფროსის განკარგულებისამებრ, ხოლო დედა, და, ცოლი და რვა წლის ბავშვი სამაზრო სამმართველოში ჰყავთ დაჭერილი. ამას გარდა ციხეშივე ჰყავთ დატუსაღებული ადგილობრივი ბეგები და რამდენიმე გლეხი, რომელთაც ქიარიმის დამალვას აბრალებენ. თვითონ ქიარიმი კი თავის ცხრა ყაჩაღით დილიჯანის მთებში არის, სადაც ყაზახის ადმინისტრაციაც იმყოფება.

«დროების» კორესპონდენცია

—

ხევი, იკვლისის 13-ს. ჩვენდა სამწუხაროდ ქირავნობა მოისპო. ეს იყო უმთავრესი საშუალებათგანი ჩვენის ცხოვრებისათვის. თუმცა ქირის ზიდვა მოგვესპო, მაგრამ, მაინც შემთხვევით ხანდის-ხან კიდევ დავდივართ და ვეზიდებით თბილისიდამ ადგილობრივ სამხედრო-საქართველოს გზაზედ მოვაჭრეთა საქონელს, მაგრამ ვაი ამისთანა ზიდვას! ავიღებთ ადგილობრივი მამასახლისისაგან მოწმობას, რომელშიაც ცხადად გვიწერენ სიშორეს მანძილისას ე. ი. საიდამაც უნდა შევუდგეთ გზატკეცილს, რამდენი სტანციის მანძილიც გავიარ გამოვიაროთ ხსენებულს გზა-ტკეცილზედ, და სად უნდა ჩამოიხადოს ჩვენგან წოდებული საქონელი.

რასაკვირველია, ამისთანა მოწმობა პირველსავე მისვლაზე უნდა ეჩვენოს ფასანაურის «ზასტავას», მაშინათვე წინ უნდა მოგვეგებოს იმავე ზასტავაში მოსასამსახურე ნაურიალი გვარად ა-ვი, ანუ მისი ამხანაგი გძელჩიბუხა მ-ვი და გამოგვართვან მამასახლისისაგან მოცემული მოწმობა.

ჯერ რიგიანად არც კი ჩაიკითხენ ბოლომდის მოწმობას, მაშინათვე მივარდებიან ურემს, გასჩხრეკენ და ცარიელს ურემზე, რაც უნდა მცირე რამე დაინახონ, თუნდა 10—5 გირვანქის წონა, მაინც ვიდრე საესე ურმის ფულს არ გადაგახდევინებენ, არა გზით არ გაგიშვებენ. თუმცა ამისთანა ურიგო ხარჯის გადახდა ერთობ ეძნელება მეურმეს, მაგრამ რა ჰქნას? მეტადრე გამოუცდელმა პირმა, რომელმაც არც საჩივრის გზა იცის და არც რუსულს ენაზე ლაპარაკი, რომ იქვე ზასტავის უფროსს მაინც მიმართოს და აუხსნას ყოველივე ურიგო ქცევა ხსენებულ მოსამსახურეთა.

რასაკვირველია ზემოდ ნათქვამი მოწმობა მეურმის უკან დაბრუნებამდის რჩება ფასანაურის «ზასტავაში». მეურმე მიდის თბილისში, უდებს ურემზე საქონელს, ბრუნდება უკან და მოდის ისევ «ზასტავასთან».

თუმცა გავლით ურიგოდ მოექცნენ და ცარიელს ურემზე საესე ურმის ფული გადაახდევინეს, მაგრამ ახლა-კი იმედი აქვს, რომ მეტს აღარ აიღებენ, რადგანაც მამასახლისისაგან მიცემულს მოწმობაში ნათქვამია, რა მანძილზედაც მიაქვს საქონელი.

ეს იმედი ისევ იმედად რჩება და საწყალს მეურმეს-კი გზაზედ გავლის ხარჯი ისევ მეტი ერთმეა. მაგალითად: იმას მიაქვს საქონელი 2—3 სტანციის მანძილზე და გზა-ტკეცილზე გავლის ხარჯი-კი 7 სტანციისა ერთმეა ე. ი. ფასანაურიდამ ქავკავამდე, რომელიც ფარნაურიდამ 110 ½ ვერსზე.

ხევის ხალხი ისედაც შეწუხებულია უსაქმობით და რაღა ესეთი ამბები გვეჭირვებოდა.

თერგის-ხეველი.

რუსეთი

რუსეთში მცხოვრებ ნემეცებს მიურთმეევიათ ადრესი ბისმარკისათვის, რომლითაც სთხოვენ, რომ ხელი შეუწყოს მათს გადასახლებას აფრიკის ნაპირებზედ, სადაც უკანასკნელ ხანს ნემეცებმა კოლონიები დააარსეს. მიზეზად გადასახლებისა ნემეცები ასახელებენ იმ გარემოებას, რომ სწავლისა და განათლების ბაერცებენ გამო მათ აღარ შეუძლიანთ ისე ადვილად წავიდენ წინ და ქონება შეიძინონ, როგორც ეს უწინ შეეძლოთ.

—

ბერმანიის მგზავსად, მალე რუსეთშიაც დაარსდება ჯარში ცალკე რაზმი ჰაერში მფრინავთა. ამასთანავე გამართვენ სტანციებს, სადაც უნდა გამოცდილ იქმნან ახლად მოგონილი მაშინები ჰაერში საფრინავად და ასწავლონ მათი ხმარება.

ივლისის პირველს 200,000 მანათი მომგებ ბილეთზედ მოუგია როსტოვის მცხოვრებს, მეხანიკს ვაინერს და 75,000 მანათი ჟანდარმის უნტერ-აფიცრის ცოლს ივანოვისას, ოდესაში მცხოვრებს. ივანოვისას ამ შემთხვევის გამო პარაკლისი გადაუხდია.

უცხოეთი.

იტალიის გაზეთებს მოუთხოვნიათ მასოვას დაცლა და იქიდამ ჯარების გამოყვანა. ამის პასუხად იქაურ მთავრობას გამოუცხადებია, რომ ეს შეუძლებელიაო. სამინისტროს გაზეთი «Diritto» ამბობს; თუმცა სამთა სახელმწიფოთა შორის კავშირი არის შეკრული, მაგრამ იტალიამ უნდა მაინც თავისუფლად იმოქმედოს ინგლისთან ერთად და ამას ვერც ბერმანია და ვერც ავსტრია ვერ დაუშლიანო.

—

მკითხველს დავიწყებული არ ექმნება, რომ ბერმანიისა და ზანზიბარის შუა განხეთქილება ჩამოვარდა. ეხლა

შემდეგ დედი-ჩემის სამი წლის ქვრობისა. ამბობდენ, რომ პირველი ქმრის დროსვე ჰყვარებოდათ მათ ერთმანეთი, რის დასამტკიცებელ საბუთად თვით მე ვარ.

«ერთს საღამოს დედა-ჩემი მოვიდა ჩემთან თავის ქმართან — მამა-ჩემთან ერთად. იგი როგორღაც გულგაზედ არ იყო. წასვლის დროს უცებ მითხრა: «რადგანაც სიკეთე მინდა შენთვის, და ერთხელაც იქნება ცოლს შეირთავ, ამისათვის მე ამოგირჩევ შესაფერს საცოლოს. თვით გამოცდილი მაქვს, თუ რას ნიშნავს ძალათ ჯვარის-წერა. მე მდიდარი ვარ, უშვილო, თავისუფალი მფლობელი ჩემის საცხოვრებლისა. აი შენ მზითვად». ამის შემდეგ დიდი დაბეჭდილი პაკეტი მომცა.

«მე უეცრად შევხედე მას და ვუთხარ:

— «თქვენ დედა ჩემი ხართ...

«მან უკან დაიწია, და თითქოს არ უნდოდა ჩემთვის შემოეხედნა, ხელები სახეზედ მიიფარა.

— «ისიც ხომ მამა ჩემია; მამა-ჩემმა ამაზედ დამიყვირა:

— «შენ გიჟი ხომ არა ხარ!

— სრულიადაც არა! — მივუგე მე. მე ცხადად ვხედავ, რომ თქვენ ჩემი მშობლები ხართ. ბამოტყდით და არ გაგცემთ, არც არაფერს გეტყვით; მე ისევ ისე დურგლათ დავრჩები, როგორც აქამდის ვიყავი.

«ქმარი სულ კარებისაკენ იწევდა, და თან მომტირალე ცოლი მიჰყავდა. მე სჯჭარზედ კარები ჩავკეტე, გასაღები ჯიბეში ჩავიდე და ვუთხარ:

— «შეხედეთ მას სახეზედ და მერე სთქვით, რომ იგი დედა-ჩემი არ არის.

«მაშინ იგი მოთმინებიდამ გამოვიდა და საშინლად გაფითრდა, რადგან თვალ-წინ წარმოუდგა, თუ რა შეურაცხყოფაც მიადგებოდა მათ; მას მოაგონდა თავიანთი ცხოვრება, სახელი, პატიოსნება, რომელნიც შეიძლებოდა სულ ერთიანად დაეკარგათ.

— «შენ საძაგელი ხარ! — ლუღლუღებდა იგი, — და გინდა, რომ მომეტებული ფული დაგვტყუო! — მოდი და სიკეთე უყავ ამის შემდეგ ამისთანა კაცს; მოუმართე ხელი ამისთანა ბრიყვს.

«შეშინებული დედაჩემი გაიძახოდა: «წავიდეთ, წავიდეთ აქედამ».

«მაგრამ კარები დატკეული იყო. მამაჩემმა შემომყვირა:

— ამ წამსვე კარებს თუ არ გააღებ, მე შენ ციხეში დაგაჭერინებ სიბრიყვისა და ძალადობისათვის.

«მე დავძლიე ჩემს თავს, გავუღე კარები და ვნახე, როგორც გაჰქრენ ისინი ღამის სიბნელეში.

«მაგრამ უცბად თვალ-წინ წარმოგიდგა, რომ მე სრულიად ობოლი ვარ, ყველასაგან დატოვებული საშინელმა ნაღველმა, სიბრაზემ და სიშურემ შეიპყრა მთლად ჩემი გული ჩემში განიღვიძეს მართლ-მსაჯულებამ, ჩემმა უფლებამ და სიყვარულმა. მე გავიქეცი, რომ დავწეოდი მათ სენასთან, რადგანაც იმაზედ გავიდოდენ შატუს ეოგზალზედ წასასვლელად.

«ძალე დავეწიე. ბნელი ღამე იყო. ფეხ-აკრეფით მივდევდი მათ უკან რომ ხმა არ გაეგოთ. დედაჩემი ისევ ტიროდა. მამაჩემი-კი ეუბნებოდა:

— შენა ხარ დამნაშავე! რისთვის მოინდომე მისი ნახვა. ჩვენ ეს უპკუობით მოგვივიდა. შორიდამაც შეგვეძლო მისთვის შემწეობა მიგვეცა და არ გამოვჩენილიყავით. რისთვის გამოვცადეთ ამდენი ტანჯვა, რა-კი ვიცოდით რომ მას შვილად ვერ ვიტვირთებდით?

«მაშინ მე მათ მივვარდი და დავუწყე ხვეწნა:

«— ხომ ხედავთ, თქვენ ჩემი მშობლები ხართ, — თქვენ ერთხელ მომიშორეთ მე; და ნუ თუ ეხლაც გინდათ ობლად დამტოვოთ?

«მაშინ, — ოხ, ზეცავ, — მამაჩემმა მომიღერა ხელი.. ბეფიცებით პატიოსნებას, რესპუბლიკას... მან დამარტყა და, როდესაც მივვარდი დასაჭერად, სწრაფად ჯიბიდამ დამბაჩა ამოიღო.

თვალთ დამიბნელდა, არაფერი აღარ მესმოდა. მე ჯიბეში კომპასი მქონდა, იმდენი ვცემე იმით, რამდენიც შემეძლო...

«მაშინ დედაჩემმა ყვირილი დაიწყო: «გვიშველეთ, მოგვკლესო»! და თან თმებსა და წვერს მაგლეჯდა. ბანა დამახსოვდებოდა, რასაც ეშმრეებოდი იმ წამს. შემდეგ ორივენი მიწაზედ ეყარნენ, და მე მოუფიქრებლად ავიღე და სენაში გადავყარე.

«აი, ეხლა გაარჩიეთ საქმე!

დამნაშავე დაჯდა. ამ აღსარების შემდეგ, საქმე სხვა ღოისთვის გადასდეს. რას ეუბნებოდით ჩვენ ამ მკვლელს, მოსამართლენი რომ ვყოფილიყავით.

ელ. ბამულაშვილისა.

ამ განხეთქილებას უფრო საშიში ხასიათი მიუღია. ზანზიბარის სულთანის ჯარი მოსულა კამერუნის ქვეყანაში, რომელიც ბერმანიის საკუთრებად ითვლება და დაუპერია იგი, თუმცა კოლონიის უფროსს, გრაფ პფეილს, ბერმანიის დროშა აღუმართავს და ამ ძალადობის წინააღმდეგ პროტესტიც გამოუცხადებია. ჯერ-ჯერობით სულთანის ჯარს გაუმარჯვნია ნემეცებზე, რადგან ეს უკანასკნელნი ცოტანი ყოფილან.

ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

ივლისის 17-ს.

კოლტავა. ილანის სამანუფაქტურო იარმუკა ჯერგად გადაგდა. შარშანდელზედ ნაკლები კი გაიყიდა, რადგან საქონელი ცოტა მოიზიდა და ნასიადაც სიფთხილით იმლეოდენ.

კინეშმა. გუშინ დაიწვა ქალაქის ქარხანა რაზარენოვისა და კოზმილიცინისა, რომელიც 600,000 მანათად იყო დაზღვეული.

ვენა. გერმანიის იმპერატორი იშლეში არ წავა. ავსტრიის იმპერატორი და იმპერატრიცა გაშტეინში ნახვენ მას.

სერაევო. მიტროპოლიტმა საბამ, რომელმაც უარი თქვა თავის თანამდებობაზედ, ხელ-ახლავ დასთანხმდა მაღლო იგი.

ლონდონი. საზოგადოებათა ბალტამ მიიღო ბიუჯეტი. გარეიცვალა ცნობილი ქველ-მოქმედი ებრაელი მანტეფიორე.

ივლისის 18-ს.

პეტერბურგი. უმაღლესად ნებადართულია, რომ ხარკოვის ტექნოლოგიურს ინსტიტუტში ებრაელი სტუდენტების რიცხვი არ აღემატებოდეს საზოგადოდ სტუდენტების რიცხვის მეათედს.

ბროფესორი მანასეინი და დოქტორები რანჩევსკი და კულოვი იგზავნებიან ესპანიაში იმის გასაცნობად, თუ როგორ უცრის ხოლერას დოქტორი ფერანი.

პეშაველი. გუშინ წავიდა ქაბულში ბრიტანიის ელჩი.

ლონდონი. «Times»-ი იტყობინება, რომ სტაუარტის მაგივრად ინდოეთის ჯარის მთავარ-სარდლად დანიშნულა რობერტსი, რომელმაც აღლანის ომის დროს სახელი გაითქვა.

ბირჟა

პეტერბურგი ივლისის 16.

100 მანათის კურსი სამის ოვით ლონდონზე— —$23^{25}/_{32}$ $23^{15}/_{16}$ $23^{13}/_{16}$
100 მანათის კურსი სამის ოვით ჰამბურგზე— — $202^{3}/_{4}$ $203^{1}/_{2}$ 202
100 მან. კურსი სამის ოვით პარიეზე — — $250^{3}/_{4}$ 2501
პოლუიმპერიალები — 8 მ. 29 კ. გაუ.
ტამოჟნის კუპონები — 8 მ. 30 კ. გაუ.
ვეცხლის მანათი — 1 მ. 29 კ. გაუ.
ბირჟის დისკონტი— — $5^{3}/_{4}$ და $6^{3}/_{4}$%
5% ბილეთები სახელმწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — — 99 მ. 12 კ. გაუ.
მეორე გამოცემისა — $97^{3}/_{4}$ მ. გაუ.
მესამე გამოცემისა — 97 მ. 62 კ. მუ.
მეოთხე გამოც. — — 97 მ. 12 კ. მუ.
მეხუთე გამოც. — — $97^{1}/_{2}$ მ. მუ.
5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მ. პირვ. გამოც. — 95 მ. 87 კ. გაუ.
მეორე გამოც — $95^{1}/_{2}$ მ. მუ.
მესამე გამოც. — — $95^{1}/_{2}$ მ. მუ.
5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა — $217^{3}/_{4}$ მ. გაუ.
5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა— 213 მ. გაუ.
ოქროს რენტა — — 172 მ. 37 კ. გაუ.
თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები— — — 43 წ. $88^{3}/_{4}$ მ. გამუ.
ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. 18 წ. 91 მ. გამუ.

ცნობანი

რკინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის

თბილისიდან ბათუმისაკენ

8 საათზე და 35 წამ. დილით.

ბათუმიდან თბილისში შემოდის

10 საათ. 25 წამ. ღამით

თბილისიდან ბაქოსკენ

10 საათზე 55 წამზე ღამით.

ბაქოდან თბილისში შემოდის

8 საათ. დილით.

თბილისიდან სურამისაკენ

3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.

სურამიდან თბილისში შემოდის

8 საათზედ 24 წამ. დილით.

განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი აცხადებს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საცნობელად, რომ 1885 წლის ენკენისთვისათვის სასწავლებელში იქნება მხოლოდ ოც-და-ოსუმეტის ყმაწვილისათვის თავისუფალი ადგილი პირველს განყოფილებაში, რომელში შემომსვლელებს ეგზამენი არ მოეთხოვებათ, მაგრამ წლოვანობა მათი კი არ უნდა აღემატებოდეს შვიდს წელიწადს. თხოვნა უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზედ, 20 აგვისტოდგან 29-მდის და თხოვნასთან ერთად წარმოადგინონ წლოვანების მოწმობა და აზნაურობისა, ან აზნაურობის მოწმობის მაგიერ ბანკის მოწმობა, რომ ყმაწვილის მშობლები (ან დედა ან მამა) ბანკის დამფუძნებელთ რიცხვში ითვლებიან. სხვა განყოფილებებში და პირველს და მეორე პროგიმნაზიულს კლასებში არც ერთი ადგილი არ არის თავისუფალი. სწავლა დაიწყება ყველა კლასებში პირველს ენკენისთვეს. (6—5)

სამკურნალო საშმართველოსგან ნება-დართულია
ბიბლიოთეკა



ალვის ხე ანუ

ალვის ხის ბალზამი

მ. მ. პეტროვისა.

პირისახის თვის. № 1. ბაუმჯობესებული საშუალება, რომელიც აქრობს ფერიმჭამელას, წითელს ლაქას, გარუჟლვას, ღუდუდებს; ამ საშუალების მხმარებელს პირისახე უსუფთავდება და ლამაზ ფერს იჭერს.

თავისთვის. № 2. ნამდვილად ასუფთავებს თავის კანს ქერტლისაგან, აგრილებს თავს, სპობს თავის ტკივილს, ამისათვის თმა აღარ ჩამოუვა. რადგანაც ამ წამალს ყალბსაც ეკეთებენ, გთხოვთ მიაქციოთ ყურადღება ნიშანს (მ. მ. პეტროვი.)

ფასი ფლაკონისა 1 მ. 25 კაპ. და ½ ფლაკონი 75 კაპ,

უმთავრესი საწყობი: აფთიაქებშია და მოსკოვის-საფთიაქო ყველა მაღაზიებში.

ისყიდება რუსეთის და სამზღვარ გარეთელ აფთიაქებში და ყველა საფთიაქო და სხვა მაღაზიებში.

ვინც ბლომად იყიდის მას % დაეთმობა.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ უმთავრეს საწყობში:

მოსკოვი, ნაკიტის აფთიაქი პეტროვისა, **წინად კელეურისა.** ფოსტით 3 მ. და 50 კაპ. ორს ფლაკონზედ ნაკლები არ გაიგზავნება.

Ц. 14120 (10—4)

Присяжн. поверенный А. С Френкель перешелъ на другую квартиру: въ Сололаки, по Нагорной улицѣ, въ д Мерабова

Туда-же переведены редакція и администрація журнала «Юридическое Обозрѣніе».

ОТКРЫТА ПОЛУГОДОВАЯ ПОДПИСКА

НА ЕЖЕНЕДѢЛЬНЫЙ ЖУРНАЛЪ

„ЮРИДИЧЕСКОЕ ОБОЗРѢНІЕ“,

издаваемый въ г. Тифлисѣ.

(ГОДЪ ПЯТЫЙ)

Подписная цѣна, съ пересылкою и доставкою, **НА ПОЛЪ ГОДА 6 р. Полугодовые подписчики могутъ вносить при подпискѣ 3 р. и черезъ два мѣсяца еще 3 р.**

Подписавшимся на весь годъ высылаются вышедшіе №№.

Желающіе пріобрѣсти журналъ за прежніе года уплачиваютъ за 1881 г. 8 р. 20 к., а за всѣ послѣдующіе—по 10 р за каждый годъ. Для г.г. студентовъ годовая подписка 8 р. (вмѣсто 10), а полугодовая—5 р. (вмѣсто 6).

Иногородн. подп. «Юрид. Обоз.» имѣютъ право на полученіе чрезъ редакцію свѣдѣній о положеніи ихъ дѣлъ въ Тифл. судеб. учрежд.—въ тѣкстѣ журнала безвозмездно, а письменныя и телеграфныя—по соглашенію съ ред. журнала.

Пріемъ подписки, объявленій и розничная продажа: въ Администраціи журнала—въ Тифлисѣ, Сололаки, Нагорная улица. д. Мерабова, также въ Москвѣ и С.-Петербургѣ—въ книжныхъ магазинахъ И. И. Анисимова. (5—5)

პირველის სექტემბრიდგან

ქარავდება ხე ლი სახლები

რვა ოთახი ზემო ეტაჟში

სარდაფით, წყლითა და თავის მოწყობილებით. საპერნის ქუჩაზედ № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. მსურველთ პირობის შეტყობა შეუძლიანთ, ექვთიმე ხელიძის სტამბაში, ბაღთან. (3—1)

რადგან ზოგიერთა პირთ გამოაცხადეს სურვილი წინ-და-წინვე ხელის მოწერისა

სურათებიან ვეფხის-ტყაოსანზე,

ამისათვის შევამზადებინე კვიტანციები და მსურველთ შეუძლიანთ ეხლავე შემოიტანონ ფული ან სრულიად, ან ნაწილ-ნაწილ „დროების“ რედაქციაში. ფასი სურათებიანი ვეფხის-ტყაოსნისა, იქნება **რვა მანათიდამ ათ მანათამდე,** ხარჯის კვალობაზე. ხელის-მომწერი ფულის შემოტანისათანავე მიიღებს კვიტანციას, თუ იგი თბილისშია და შემდეგი ფულის შემოტანის დროს ან ეს კვიტანციავე უნდა წარმოადგინოს, ან შეატყობინოს მისი №-რი. თბილისის გარეშე ხელის მომწერთა ფული უნდა გამოგზავნონ რედაქციის ადრესით და კვიტანცია მოთხოვნამდე რედაქციაშივე შეინახება.

სურათებიანი „ვეფხის-ტყაოსნის“ გამომცემელი

(25—23) ბ. ქართველიშვილი.

Доз. ценз. Тифлисъ, 18 Іюля 1885 г. მელიქიშვილის სტამბა. გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.